საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 23 0000119946

03/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 26 იანვრის №80809 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (დანართი N1) მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

დანართი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საავტორიზაციო განაცხადის (შემდგომში - განაცხადი) წარდგენის ფორმას.

მუხლი 2. საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის ფორმები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ცენტრში განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:

ა) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

ბ) მატერიალური სახით, რა დროსაც თვითშეფასების შევსებული ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მეშვეობით;

გ) ცენტრის ოფიციალური ელექტრონულ ფოსტის - info@eqe.ge-ს მეშვეობით.

2. ცენტრში წერილობითი ფორმით წარმოდგენილი განაცხადი შევსებული უნდა იყოს დაწესებულების სატიტულო ფურცელზე და უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) მოთხოვნას;

დ) განაცხადის წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განაცხადზე თანდართული დოკუმენტების ნუსხას.

ვ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში განაცხადზე უნდა ფიქსირდებოდეს ორგანიზაციის კვალიფიციური შტამპი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოდგენილ განაცხადს დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა;

ბ) განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) დამატებითი დანართები, რომლითაც დაწესებულება ადასტურებს სტანდარტების ინდიკატორის/კრიტერიუმის/კომპონენტის შესრულებას.